# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

# ბრძანება №44

# 2013 წლის 18 ივნისი

# ქ. თბილისი

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმების და მათი შევსების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ

„გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის $58^1$ მუხლის „ბ.გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმების შევსების ზოგადი წესი" (დანართი №1).
2. დამტკიცდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2).
3. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების ფორმები:

ა) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (დანართი №3);

ბ) დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (დანართი №4).

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი** — **ხათუნა გოგალაძე**

**დანართი 1**

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმების შევსების ზოგადი წესი

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1**

ეს წესი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების შევსების ზოგად წესს.

**მუხლი 2**

ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ დადგენილებებს ადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

### თავი II
### ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების ფორმების შევსების წესი

**მუხლი 3**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ივსება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული და დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევის არსებობისას.

**მუხლი 4**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა ივსება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი ეგზემპლარი რჩება ოქმის შემვსებთან, ხოლო მეორე გადაეცემა დამრღვევს, რაზედაც ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

**მუხლი 5**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში შესატანი მონაცემების რეკვიზიტები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში (დანართი №2) აღინიშნება – მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში _ მისი სახელწოდება, საინდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა სახელი, გვარი და მისამართები (თუ ისინი არიან); დამრღვევის ახსნა-განმარტება; არსებობის შემთხვევაში მითითება კეთდება ჩამორთმეული და დალუქული ნივთებისა და დოკუმენტების შესახებ, ასევე საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

**მუხლი 6**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი სრულდება გარკვევით. დაუშვებელია ოქმში გადახაზვა, გადაშლა, გადაფხეკა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული ოქმი ჩამოიწერება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, მოწმის არსებობის შემთხვევაში, ასევე აღნიშნული პირი. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

**მუხლი 7**

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას განმხილველ, ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს დადგენილება აღნიშნულ საქმეზე.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ დადგენილებაში ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (დანართი №3) და დადგენილებაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (დანართი №4) აღინიშნება: დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი; გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება; ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე; საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემა; ნორმატიული აქტის მითითება, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებას ხელს აწერს საქმის განმხილველი თანამდებობის პირი და სამართალდამრღვევი, თარიღის მითითებით, ხოლო თუ დადგენილების ასლი იგზავნება ფოსტის საშუალებით, კეთდება სათანადო ჩანაწერი.

**დანართი 2**

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო**

**სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი**

**ზედამხედველობის დეპარტამენტი**

# ოქმი №

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

_____ _____

ოქმის შედგენის ადგილი თარიღი

_____

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი

_____

_____

**სამართალდამრღვევი** _____

_____

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი;

_____

იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი,

_____

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

_____

**გამოვავლინე, რომ**

_____

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

რაც არის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

_____ დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

_____

მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი

_____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

_____

_____

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

(ხელმოწერა)

_____

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენელი: _____

(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: _____

(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: _____

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

დამკვეთი: _____

დამამზადებელი: _____

რეგისტრაციის № _____.

დანართი 3

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტი

დადგენილება №

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

____ _____ 20 წ. _____

დადგენილების გამოტანის ადგილი

_____

დადგენილების გამომტანი თანამდებობის პირის დასახელება

_____

**განვიხილე მასალები სამართალდამრღვევის**

_____

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი;

_____

იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი,

_____ **მიერ**

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის** _____ **დარღვევის შესახებ**

(მუხლი, მუხლის ნაწილი)

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:**

_____

**(სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი)**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

**ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, 222-ე, 266-ე-268-ე, 271-ე-273-ე მუხლებით და**

# დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1._____

სამართალდამრღვევი პირის დასახელება

**დაედოს ადმინისტრაციული სახდელი**

_____

ადმინისტრაციული სახდელის სახეობა, ოდენობა

_____

**2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში: ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ - ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა, ხოლო სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ - ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგ საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; დადგენილება ძირითადი და რომელიმე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის ერთდროულად დადების შესახებ მომჩივნის სურვილით შეიძლება გასაჩივრდეს „ძირითადი ან დამატებითი სახდელის გასაჩივრებისათვის განსაზღვრული წესით"; საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომელმაც გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე.**

**3. ჯარიმა შეტანილ უნდა იქნეს**

_____ **ანგარიშზე.**

**4.** _____

ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების საკითხი

_____

**5. დადგენილების გამომტანი თანამდებობის პირის ხელმოწერა**

_____

**6. დადგენილების ასლი მივიღე** _____

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა და თარიღი, დადგენილების ასლის გაგზავნისას კეთდება სათანადო ჩანაწერი)

**შენიშვნა:** დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში. მისი გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილების იძულებითი აღსრულება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტი

დადგენილება №

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

___ _____ 20 წ. _____

დადგენილების გამოტანის ადგილი

_____

დადგენილების გამომტანი თანამდებობის პირის დასახელება

_____

განვიხილე მასალები სამართალდამრღვევის

_____

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი;

_____

იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი,

_____მიერ

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____დარღვევის შესახებ.

## გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

_____

(სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, 232-ე, 266-ე-268-ე, 271-ე-273-ე მუხლებით და

## დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება _____

_____

(საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი)

_____

_____

_____

_____

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომელმაც გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმეზე.

3._____

ჩამორთმეული ან სხვა ნივთებისა და დოკუმენტების საკითხი

_____

_____

_____

4. დადგენილების გამომტანი თანამდებობის პირის ხელმოწერა

_____

5. დადგენილების ასლი მივიღე

_____

(ხელმოწერა და თარიღი, დადგენილების ასლის გაგზავნის შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერი)